საქართველოს მთავრობის განკარგულება

№779 2015 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი

„სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ (უცხოური საწარმოს ფილიალი) უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ (უცხოური საწარმოს ფილიალი, ს/კ №205011609) უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 წლის ვადით, გადასცეს ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ქონება.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს, უზუფრუქტის საგნის საკომპრესორო სადგურამდე მისასვლელი გზის მშენებლობისა და შემდგომი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენება.

3. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველოს მთავრობის

2015 წლის 20 აპრილის

№ 779 განკარგულების

დანართი

რიგითი №	საკადასტრო კოდი	მისამართი	დანიშნულება	ფართობი კვ.მ.
1	85.05.26.389	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნარდევანი	არასასოფლო-სამეურნეო	253
2	85.05.26.390	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნარდევანი	არასასოფლო-სამეურნეო	425
3	85.05.26.395	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნარდევანი	არასასოფლო-სამეურნეო	24
4	85.11.22.191	წალკის მუნიციპალიტეტი, ბურნაშეთი	არასასოფლო-სამეურნეო	1167
5	85.10.21.430	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბერთა (ოლიანგი)	არასასოფლო-სამეურნეო	1029